ა(ა)იპ „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის“ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 41 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენრგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) უფლებამოსილია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის კვლევების ჩატარების, მათთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, აღნიშნულ სექტორებში დასაქმებულ პირთა და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სპეციალური სასწავლო კურსების ჩატარების/პროგრამების განხორციელების მიზნით დაამტკიცოს სამოქმედო გეგმა და დააფუძნოს სასწავლო-კვლევითი ცენტრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

კომისიის 2022 წლის 3 თებერვლის #4/2 გადაწყვეტილებით დაფუძნდა ა(ა)იპ „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი“ (ს/ნ 405505760; შემდგომში - ცენტრი) და დამტკიცდა ცენტრის წესდება.

კომისიის მიერ დამტკიცებული წესდების თანახმად, ცენტრის მიზნებია:

- ა) ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში (შემდგომში - რეგულირებული სექტორები) დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
- ბ) სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფში რეგულირებულ სექტორებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება;
- გ) რეგულირებული სექტორების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლების ხელშეწყობა;
- დ) რეგულირებული სექტორების განვითარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოება, მისი პოპულარიზაცია და შესაბამისი პერიოდული გამოცემებისა და თემატური პუბლიკაციების მომზადება;
- ე) რეგულირებული სექტორების შესახებ ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა;
- ვ) ენერგეტიკული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის რეგულირებულ სექტორებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების მხარდაჭერა;
- ზ) საგანმანათლებლო და კვლევითი ხასიათის თანამშრომლობა რეგულირებულ სექტორებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.

ცენტრის მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის დასახელებული დანაწესების

მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, კომისიას მიაჩნია, რომ უნდა დამტკიცდეს ცენტრის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 29-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 54-ე და 56-ე მუხლებისა და VII თავის, აგრეთვე კომისიის 2020 წლის 28 დეკემბრის #79 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ საფუძველზე, **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ**

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის“ სამოქმედო გეგმა (დანართი).
2. დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრს“, სამოქმედო გეგმის მიდინარეობისა და შესრულების თაობაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას წარუდგინოს პერიოდული ანგარიშები, წესდების შესაბამისად,
3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), მისი ოფიციალურად გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ა(ა)იპ „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის“

სამოქმედო გეგმა

ენერგეტიკის
სასწავლო ცენტრი

თბილისი
2022 წლის 28 ივლისი

შესავალი

წინამდებარე სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ა(ა)იპ „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის“ (შემდგომში -ცენტრი) მიზნებისა და ამოცანების, აგრეთვე, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების დარგებში უახლესი ტენდენციების, მიღწევებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. სამოქმედო გეგმა ეფუძნება გამოცდილებას, ცოდნას, პროფესიულ მიდგომას და ფოკუსირებულია სამოქმედო გეგმის მიზნების იმპლემენტაციის გზით კონკრეტული ხელშესახები შედეგების მიღებაზე.

სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელება წარმოადგენს ცენტრის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელების წინაპირობას და უზრუნველყოფს იმ გამოწვევების გადაჭრისა თუ საჭიროებების უზრუნველყოფის მექანიზმების წინასწარ დაგეგმვას, რაც შესაძლოა წარმოიშვას ცენტრის საქმიანობის პროცესში.

ცენტრის სამოქმედო გეგმა დინამიური, განახლებადი და განგრძობითი დოკუმენტია, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შეფასდება განხორციელების შერჩეულ ეტაპზე და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ახალი პრიორიტეტები. ცენტრი, თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვის მიზნით, უზრუნვეელყოფს სამოქმედო გეგმის განახლებისა და გაუმჯობესების თაობაზე წინადადებების წარდგენას საქართველოს ენრგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის (შემდგომში - კომისია).

ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ფორმა და არეალი

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წლის 22 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, კომისიას მიენიჭა ცენტრის დაფუძნების უფლებამოსილება.

კომისიამ 2022 წლის 3 თებერვლის საჯარო სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ცენტრის დაფუძნების თაობაზე.

ცენტრი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე - მის ფარგლებს გარეთ.

ხედვა

ცენტრის, როგორც პროფესიონალიზმზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე აქცენტირებული ორგანიზაციის ხედვა ორიენტირებულია: ხელი შეუწყოს ინფორმირებული გარემოს განვითარებას ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროებში, უზრუნველყოს მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა და საზოგადოების/ მომხმარებლის ჩართულობის ზრდა.

მისია

ცენტრის მისიაა, აქტიურად იყოს ჩართული იმ პრიორიტეტულ საქმიანობებში, რომლებიც მიზნად ისახავს: ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში კვალიფიკაციის ამაღლებას, ქალთა ჩართულობის ზრდას, მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირების, ცნობიერებისა და ჩართულობის ამაღლებას, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კვლევების, რეკომენდაციების შემუშავებას, პოტენციური ინვესტორების მოქმედი რეგულაციების თაობაზე ინფორმირების უზრუნველყოფას.

მიზანი

ცენტრის მიზნებია:

- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების აქტუალურ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, აღნიშნულ სექტორებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სპეციალური სასწავლო კურსების/პროგრამების განხორციელება;
- აქტივობებისა და საქმიანობების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, დაინტერესებულ პირებს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაცვლა, ფუნდამენტური კვლევების ჩატარება, სამეცნიერო- საგანმანათლებლო ხასიათის პროექტების მომზადება, კვლევების ორგანიზება, საინფორმაციო ბაზის შექმნა და თემატური კონფერენციების მოწყობა.

ღირებულებები

ცენტრის ღირებულებები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პროფესიონალიზმი - ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფს გაცნობიერებული აქვს დაკისრებული მოვალეობა და მაღალი პასუხისმგებლობა და ორიენტირებულია პროფესიულ განვითარებაზე. ცენტრი მოქმედებს ეთიკური ნორმების, მაღალი პროფესიონალიზმისა და ორგანიზაციული ღირებულებების შესაბამისად;
- გუნდურობა - ცენტრი ქმნის პოზიტიურ გარემოს საორგანიზაციო ჯგუფისა და სხვა დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზებისთვის. ხდება პასუხისმგებლობის გაზიარება, ერთმანეთის აზრის გათვალისწინება და გამოწვევების ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრა;
- საზოგადოებასა და მომხმარებელზე ორიენტაცია - ცენტრი ფოკუსირებულია სამიზნე აუდიტორიისთვის იმ სერვისებისა და პროდუქტების მიწოდებისკენ, რომლე-ბიც მაქსიმალურად ორიენტირებულია მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. ცენტრის საქმიანობის ძირითადი ვექტორია ცენტრის მომხმარებლისთვის

ხარისხიანი და პრაქტიკაში გამოყენებადი მომსახურების შეთავაზება;

- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა - ცენტრისთვის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებით პრინციპს. ეფექტიანი საქმიანობის, მდგრადი განვითარების გზაზე, მაღალი ლეგიტიმაციისა და ნდობის დასამკვიდრებლად აღნიშნულ კომპონენტებს უმნიშვნელოვანესი ყურადღება ეთმობა. ცენტრი ანგარიშვალდებული და ღიაა დამფუძნებლის, საორგანიზაციო ჯგუფის წევრების, დაინტერესებული მხარეების, დონორებისა და ფართო საზოგადოების წინაშე. ინფორმაციები ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ (მათ შორის, წლიური ანგარიშები, საინფორმაციო ბუკლეტები, აუდიტორული შეფასებები) ხელმისაწვდომი და გასაგებია.

- სწრაფვა თანამედროვე და ინოვაციური სტანდარტების დასანერგად - ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფი ისწრაფის გრძელვადიანი პოზიტიური შედეგების მიღებისკენ, რისთვისაც დანერგავს სწავლებისა და ორგანიზაციული მართვის თანამედროვე სტანდარტებსა და მეთოდებს, აგრეთვე, შესაბამისი წამახალისებელი ინსტრუმენტების გამოყენებით, განახორციელებს და ხელს შეუწყობს კვლევების ჩატარებას, ინოვაციებისა და ახალი იდეების აპრობირებასა და რეალიზაციას, სიკეთეების მიზნობრივი აუდიტორისთვის გაზიარების გზით.

ცენტრის ორგანიზაციული კონკურენტუნარიანობა

ცენტრს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს შემდეგი ფაქტორები:

- მკაფიოდ გამოკვეთილი პროფილი და ნიშა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში;
- ცენტრი დაფუძნებულია კომისიის მიერ, რაც უზრუნველყოფს მის მაღალ სანდოობას;
- ცენტრი თანამშრომლობს მაღალი რეპუტაციისა და კვალიფიკაციის მქონე ექსპერტებსა და ტრენერებთან;
- ცენტრს გააჩნია ფართო მიზნობრივი აუდიტორია და მრავალფეროვანი პროგრამები ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში;
- ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება ლექციებისა და ტრენინგების ორგანიზებისა და განხორციელების კუთხით.
- ცენტრის წარმომადგენლები სარგებლობენ ცნობადობითა და სანდოობით მედიაში, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ექსპერტულ და აკადემიურ სივრცეებში;
- ცენტრს გააჩნია მარტივი ორგანიზაციული სტრუქტურა და კვალიფიციური გუნდი;
- ცენტრის საორგანიზაციო საბჭოში აკუმულირებულია საკონსულტაციო საქმიანობის, კვლევის, ნაშრომების გამოცემისა და პროექტების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება;

- ცენტრს გააჩნია კონტაქტები ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში უცხოურ წამყვან ინსტიტუტებთან და აკადემიურ წრეებთან.

ცენტრის ძირითადი სერვისები და პროდუქტები

ცენტრი უზრუნველყოფს მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებას. ცენტრი დაინტერესებულ პირებს, ორგანიზაციებსა და უწყებებს სთავაზობს შემდეგ სერვისებსა და პროდუქტებს:

- სასწავლო კურსები/ტრენინგები;
- საჯარო ლექციები და გაკვეთილები;
- თემატური სემინარები/ვებინარები;
- კონფერენციები და სამეცნიერო ფორუმები;
- მასტერკლასები;
- საპილოტე პროექტების ინიცირება და განხორციელება;
- თემატური ფუნდამენტური კვლევების წარმოება;
- მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომების შექმნა;
- ელექტრონული ჟურნალის გამოცემა და კვლევითი, პუბლიცისტური ნაშრომების მომზადება.

ცენტრის მიზნობრივი აუდიტორია

ცენტრის პროდუქტები და მომსახურება ორიენტირებულია სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიაზე:

- მედიის წარმომადგენლები;
- უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და სკოლამდელი ასაკის ბავშვები;
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები;
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები, ამხანაგობები და დაინტერესებული პირები;
- ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები;
- რეგულირებად სექტორებში საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოების თანამშრომლები;
- კომისიაში ახლადდასაქმებული პირები;

- თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების თანამშრომლები;
- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების, გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და აკადემიური წრეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერები).
- სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ცენტრის სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები

ხედვისა და მისიის ეფექტიანად იმპლემენტაციისთვის, ცენტრის სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანებია:

მიზანი N 1

ცენტრის ინსტიტუციური განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 1.1. უზრუნველყოფილი იქნება ცენტრის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება. დაინერგება ეფექტური მონიტორინგის, შეფასების, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემები.

ამოცანა 1.2. შემუშავდება ცენტრისთვის ფინანსური რესურსების მოზიდვის გეგმები და დაფინანსების მოცულობების ყოველწლიურად ზრდისთვის საჭირო მექანიზმები.

ამოცანა 1.3. ცენტრი ტრენერების პროფესიონალიზმისა და უნარებისა განსავითარებლად პერიოდულად უზრუნველყოფს ტრენერთა განვითარების პროგრამის განხორციელებას (TOT).

ამოცანა 1.4. ცენტრი მოიზიდავს პროფესიონალ, მაღალკვალიფიციურ ტრენერებსა და ექსპერტებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რომლებსაც ექნებათ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე - ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში პრაქტიკული გამოცდილება.

ამოცანა 1.5. ცენტრის წევრების შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით, უზრუნველყოფილი იქნება უცხოური გამოცდილების შესწავლის მიზნით, გასვლითი სასწავლო ტურების ორგანიზება.

მიზანი N 2

ცენტრის სერვისებსა და პროდუქტებზე ფართო აუდიტორიის წვდომის პერმანენტული ზრდისთვის ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და პრაქტიკული შესაძლებლობების შექმნა.

ამოცანა 2.1. ცენტრი უზრუნველყოფს მომხმარებლის ინფორმირებისა თუ კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკული პროგრამების შეთავაზებას (მათ შორის, ონლაინ კურსები).

ამოცანა 2.2. პოტენციური მომხმარებლებისა და დაინტერესებული ჯგუფების მოზიდვის მიზნით, ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა საპილოტე უფასო ტრენინგებს, საჯარო ლექციებს, ღია შეხვედრებს და ა.შ. აღნიშნული შეხვედრების

თემები დაფუძნებული იქნება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში პრაქტიკაში არსებულ თუ დასანერგ სიახლეებზე.

ამოცანა 2.3. ცენტრი უზრუნველყოფს პრაქტიკული ტრენინგებისა და ფუნდამენტური კვლევების განხორციელებას, რაც განაპირობებს ფართო აუდიტორიის ჩართულობასა და ხელმისაწვდომობის ზრდას ცენტრის სერვისებსა და პროდუქტებზე.

ამოცანა 2.4. კორპორაციული დაკვეთების მდგრადი და პრაქტიკული მექანიზმების უზრუნველსაყოფად, ცენტრის მიერ მოხდება მოქნილი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

მიზანი N 3

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მედიასთან თანამშრომლობის მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბება სტრატეგიული და სანდო პარტნიორობის უზრუნველსაყოფად.

ამოცანა 3.1. პარტნიორული და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის, ცენტრი იმუშავებს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან, ბიზნესთან, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროების ორგანიზაციებთან (პლატფორმებთან). აღნიშნული პროცესი მიმართული იქნება ერთობლივი, ეფექტური და ურთიერთსასარგებლო პროექტების განხორციელებისკენ.

ამოცანა 3.2. მედიასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა ცენტრისთვის იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. აღნიშნული თანამშრომლობა მოემსახურება მედიის წარმომადგენლებისთვის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მიმართულებით ინფორმაციებისა და ცოდნის გაზიარებას მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ცენტრის ცნობადობის ამაღლებასა და მედიის წარმომადგენლებში ნდობის მოპოვებას, საქმიანობების გამჭვირვალობისა და მიწოდებული ინფორმაციების უტყუარობის, ცენტრის წარმომადგენელთა მიერ გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმის გზით.

ამოცანა 3.3. ცენტრი განახორციელებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან საკოორდინაციო ტიპის შეხვედრებს, ონლაინ კონფერენციებს, საპროექტო განაცხადების მომზადებას და დონორებთან ინდივიდუალურ ინტენსიურ შეხვედრებს.

ამოცანა 3.4 ცენტრი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უცხო ქვეყნების წარმომადგენლობებთან პარტნიორობით განახორციელებს ერთობლივ პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც მიმართული იქნება ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაციის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისთვის, ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მიზანი N 4

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმებისა და აღნიშნული მიმართულებებით ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერა და ადვოკატირება.

ამოცანა 4.1 ცენტრი აქტიურად იმუშავებს ენერგეტიკის, მათ შორის, ენერგო-უსაფრთხოების და წყალმომარაგების დარგებში საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების იმპლემენტაციის ხელშესაწყობად.

ამოცანა 4.2 ცენტრი, მისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას მიიღებს ახალი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებისა და სიახლეების იმპლემენტაციის პროცესში.

ამოცანა 4.3 ცენტრი აქტიურად წაახალისებს ენერგეტიკის სფეროს ინოვაციურ მიდგომებსა და უახლესი ტენდენციების დანერგვის ხელშეწყობას ქვეყანაში, მათ შორის, ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: მწვანე ენერგეტიკა, ენერგოეფექტურობა და სხვა.

ამოცანა 4.4 ცენტრი ხელს შეუწყობს ისეთი გარემოსა და კავშირების განვითარებას, რომლებიც წაახალისებს ქვეყანაში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში ინვესტიციების მოზიდვას.

მიზანი N 5

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კომუნიკაციის თანამედროვე, ეფექტური მექანიზმების დანერგვა.

ამოცანა 5.1. ცენტრის მიერ მოხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც იქნება ჩარჩო დოკუმენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის მიდგომების, საშუალებებისა და მექანიზმების შესახებ.

ამოცანა 5.2. ცენტრი მედია აქტივობების, ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიის, სოციალური ქსელების, ვებგვერდისა და სხვა პლატფორმების, სხვადასხვა პიარ-კამპანიების გზით მოიცავს საზოგადოების ფართო ფენებს.

ამოცანა 5.3. საჭიროებათა კვლევის, ფოკუს-ჯგუფების, ონლაინ გამოკითხვების გზით ცენტრის მიერ მოხდება მომხმარებლების მოლოდინებისა და საჭიროებების გამოვლენა.

ამოცანა 5.4. ცენტრი შექმნის მარკეტინგული კომუნიკაციის გეგმას.

რისკების მართვა

ცენტრი სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და ორგანიზაციის მდგრადი განვითარებისთვის ზრუნავს შიდა და გარე რისკების გავლენების მინიმიზაციაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამიზნე აუდიტორიისთვის ხარისხიანი სერვისისა და მომსახურების მიწოდებას, რისკების პრევენციისა და გავლენის შემცირების ღონისძიებებს, შიდა მონიტორინგს, ფინანსების გამჭვირვალობას, კეთილსინდისიერებას, კონფიდენციალურობასა და ეთიკურ ნორმებს. კრიტიკული ინცინდენტებისათვის ცენტრს შეიმუშავებს მექანიზმს, რომელიც მინიმუმადე დაიყვანს რისკების ზეგავლენას ორგანიზაციის მდგრადობასა და რეპუტაციის შელახვასთან მიმართებაში.

მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება

სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში იმუშავებს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგებისადმი ერთიან მიდგომასა და შეფასებას. ცენტრი განახორციელებს ანგარიშების მომზადებას, სადაც ასახული იქნება საქმიანობისა და ფინანსების ხარჯვის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სამოქმედო გეგმა ასევე შეფასდება პროგრესის ნაწილში, მოხდება ინფორმაციის ანალიზი და განხორციელდება პრიორიტეტების განახლება. ცენტრი და კომისია ერთობლივად იზრუნებენ სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელებაზე, განახლებასა და გაუმჯობე-სებაზე, თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვასა და საუკეთესო გამოცდი-ლების გაზიარებაზე.

ცენტრის საქმიანობის გეგმის შედეგების ჩარჩო

ცენტრის ხედვა ორიენტირებულია: ხელი შეუწყოს ინფორმირებული გარემოს განვითარებას ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროებში, უზრუნველყოს მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა და საზოგადოების/მომხმარებლის ჩართულობის ზრდა

მიზნები	ამოცანები	შედეგები
ს.მ. 1. ცენტრის ინსტუტიციური განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა.	**ამოცანა 1.** ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფა.	**შ. 1.** გაზრდილია ცენტრის შესაძლებლობები და ადაპტირებულია თანამედროვე ტენდეციებსა და ტექნოლოგიებთან.
	ამოცანა 2. ფინანსური რესურსების მდგრადი მექანიზმების გეგმების შემუშავება და დაფინანსების მოცულობების ზრდა ყოველწლიურად.	**შ. 2.** ცენტრი ფინანსურად მდგრადია, ცენტრის თანამშრომლების მოტივაცია ამაღლებულია და გაზრდილია სამიზნე აუდიტორიის რიცხვი, რომელსაც ცენტრი უწევს მომსახურებას.
	ამოცანა 3. ტრენერების პროფესიონალიზმისა და უნარების განსავითარებლად ტრენერთა განვითარების პროგრამის განხორციელება.	**შ. 3.** ცენტრს ყავს პროფესიონალი ტრენერები და მომხმარებელი იღებს ხარისხიან მომსახურებას.
	ამოცანა 4. ცენტრი მოიზიდავს მაღალკვალიფიციურ ტრენერებს და ექსპერტებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.	**შ.4.** ცენტრის რეპუტაცია და სანდოობა გაზრდილია და ის კონკურენტუნარიანია ბაზარზე.
	ამოცანა 5. ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფის შესაძლებლობების გაძლიერება უცხოური გამოცდილების შესწავლის გზით.	**შ.5.** ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შესწავლილია უცხოური გამოცდილება პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტში. მათი შესაძლებლობები გაზრდილია.

ს. მ. 2. ცენტრის სერვისებსა და პროდუქტებზე ფართო აუდიტორიის წვდომის ხელშეწყობისთვის ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და პრაქტიკული შესაძლებლობების შექმნა.	**ამოცანა 1.** ცენტრი უზრუნველყოფს მომხმარებლის ინფორმირებისა თუ კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკული პროგრამების შეთავაზებას.	**შ.1** გაზრდილია მომხმარებლების კმაყოფილების დონე. ამაღლებულია მომხმარებლების ინფორმირებულობა და კვალიფიკაცია.
	ამოცანა 2. ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა საპილოტე უფასო ტრენინგებს, საჯარო ლექციებს, ღია შეხვედრებს და ა.შ.	**შ.2** უზრუნველყოფილია ცენტრის პოზიტიური იმიჯი და გაზრდილია ცენტრის სერვისების მსურველთა სპექტრი.
	ამოცანა 3. ცენტრი უზრუნველყოფს პრაქტიკული ტრენინგებისა და კვლევების ჩატარებას, რაც განაპირობებს ფართო აუდიტორიის ჩართულობასა და ხელმისაწვდომობის ზრდას ცენტრის სერვისებსა და პროდუქტებზე.	**შ.3** ჩამოყალიბებულია სწავლებისა და სერვისების მიღების ინკლუზიური და თანაბარი შესაძლებლობების გარემო. გაზრდილია ცენტრის სერვისების მიმღებთა რაოდენობა.
	ამოცანა 4. პორპორაციული დაკვეთების მდგრადი და პრაქტიკული მექანიზმების უზრუნველსაყოფად, ცენტრის მიერ მოხდება მოქნილი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.	**შ.4** კორპორაციული დამკვეთები კმაყოფილია, შესაბამისად, გაზრდილია კორპორაციული დამკვეთების მხრიდან მოთხოვნა.
ს. მ. 3. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მედიასთან თანამშრომლობის მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბება.	**ამოცანა 1.** ცენტრი იმუშავებს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან, ბიზნესმენებთან, ენერგეტიკის სფეროს ორგანიზაციებთან (პლატფორმებთან).	**შ.1** ჩამოყალიბებულია საქმიანი და პარტნიორული ურთიერთობები. განხორციელებულია სხვადასხვა ერთობლივი, ეფექტური და ურთიერთსასარგებლო პროექტები.
	ამოცანა 2. ცენტრი განავითარებს თანამშრომლობას სხვადასხვა მედიის საშუალებებთან. აღნიშნული თანამშრომლობა მოემსახურება მედიის წარმომადგენლებისთვის ენერგეტიკისა წყალმომარაგების მიმართულებით ინფორმაციებისა და ცოდნის გაზიარებას მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე.	**შ.2** გაზრდილია ცენტრის ცნობადობა. ამაღლებულია ცენტრის სანდოობა მედიის წარმომადგენლებში. უზრუნველყოფილია მედიის ინფორმირება ენერგეტიკის მიმართულებით არსებულ საკითხებზე.

	ამოცანა 3. ცენტრი წაახალისებს ენერგეტიკის სფეროს ინოვაციურ მიდგომებსა და უახლესი ტენდენციების დანერგვის ხელშეწყობას ქვეყანაში. მათ შორის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: მწვანე ენერგეტიკა, ენერგოეფექტურობა და სხვა.	**შ.3** ცენტრში მკაფიოდაა გამოკვეთილი უახლესი ტენდენციების ხელშემწყობი და წამახალისებელი პროფილი. ცენტრის აქტივობები მიმართულია მწვანე ენერგეტიკის, ენერგიის დაზოგვის, ენერგოეფექტურობის და მზის ენერგიის მიმართულებების პოპულარიზაციის საკითში.
	ამოცანა 4. ცენტრი ხელს შეუწყობს ისეთი გარემოსა და კავშირების განვითარებას, რომლებიც დაეხმარება ქვეყანაში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში ინვესტიციების მოზიდვას.	**შ.4** ხორციელდება ადვოკატირების კამპანიები რეფორმების მხარდასაჭერად და პოტენციური ინვესტორები იღებენ კვალიფიციურ ინფორმაციას ცენტრისგან.
ს. მ. 4. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კომუნიკაციის თანამედროვე ეფექტური მექანიზმების დანერგვა	**ამოცანა 1.** ცენტრის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება.	**შ.1** შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მიდგომების, საშუალებების და მექანიზმების შესახებ.
	ამოცანა 2. ცენტრი მედია აქტივობების, ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიის, სოციალური ქსელების, ვებგვერდისა და სხვა პლატფორმების, სხვადასხვა პიარ კამპანიების გზით მოახდენს საზოგადოების ფართო ფენების მოცვას.	**შ.2** უზრუნველყოფილია ცენტრის პოზიტიური იმიჯი. მისი საქმიანობა გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მოქალაქისა და პირისთვის.
	ამოცანა 3. საჭიროებათა კვლევის, ფოკუს-ჯგუფების, ონლაინ გამოკითხვების გზით მოხდება მომხმარებლების მოლოდინებისა და საჭიროებების გამოვლენა.	**შ.3** ხორციელდება მოთხოვნის შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და დაინტერესებული მხარეებისთვის შეთავაზება.
	ამოცანა 4. ცენტრი შეიმუშავებს მარკეტინგული კომუნიკაციის გეგმას.	**შ.4** უზრუნველყოფილია ცენტრის სერვისებითა და პროდუქტებით მსურველთა მოთხოვნის მზარდი ტენდენცია.